არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

N052/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ლ“ პუნქტების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები დანართის №1 შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად: „განათლების ხარისხის ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფა ხელს უწყობს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორ ნაწილადაა გაყოფილი:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა - გულისხმობს ინსტიტუციის საქმიანობის მონიტორინგს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფა - წარმოადგენს უსდ-ს და/ან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებისა და პროცედურების ერთობლიობას (ავტორიზაცია და აკრედიტაცია).

მუხლი 2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა:

1.1. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია. შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა (უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი ყველა პირი, მათ შორის სტუდენტები და აკადემიური/მოწვეული პერსონალი) გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები და უნივერსიტეტის გარე პარტნიორები) ჩართულობით უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ეს პოლიტიკა შესაბამისი სტრუქტურებისა და პროცესების მეშვეობით.

1.2. სახელმძღვანელო პრინციპები:

- ხარისიხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესი არის თანამიმდევრული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი საყრდენი; ის ქმნის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ანგარიშვალდებულების ზრდას. ქმნის პირობებს ისეთი ხარისხის კულტურის განვითარებისათვის, რომლის პირობებშიც ყველა შიდა დაინტერესებული მხარე პასუხისმგებელია ხარისხზე და უნივერსიტეტის ყველა დონეზე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ზემოაღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას ოფიციალური სტატუსი აქვს და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასახავს ურთიერთობას კვლევას, სწავლასა და სწავლებას შორის და ითვალისწინებს, როგორც ეროვნულ კონტექსტს, რომელშიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტი, ასევე ინსტიტუციურ კონტექსტსა და მის სტრატეგიულ მიდგომებს. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს:
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზებას;
- ფაკულტეტებსა და სხვა ორგანიზაციულ ერთეულებს, ისევე როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, თითოეულ თანამშრომელსა და სტუდენტებს, პასუხისმგებლობა აიღონ ხარისხის უზრუნველყოფაზე;
- აკადემიურ პატიოსნებასა და თავისუფლებას და სიფხიზლეს აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ;
- შეუწყნარებლობისა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან სტუდენტებისა და თანამშრომლების დაცვას.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა. - ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს არა უნივერსიტეტის ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის, არამედ მთელი კოლექტივის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობა.

1.4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები მხოლოდ ტექნიკური და ფორმალური მახასიათებლების შეფასებიდან უნდა გადავიდეს შინაარსობრივ მხარეზე, რისი განხორციელებაც შესაძლებელი იქნება დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პარალელურად.

1.5. მნიშვნელოვანია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცია, ანუ შეფასების პროცესში უცხოელი კოლეგების ჩართვა (მაგალითად, პარტნიორი უსდ-ების).

1.6. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ სამეცნიერო კვლევებსა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებას.

1.7. სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად.

1.8. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იცავდნენ პროფესიული ეთიკის ნორმებს.

1.9. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა პრაქტიკაში „ითარგმნება“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მრავალფეროვანი პროცესების მეშვეობით და უნივერსიტეტის ფარგლებში მასში მონაწილეობის საშუალებას იძლევა.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დამტკიცება:

2.1. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც პროგრამა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მიაღწიოს მისთვის დასახულ მიზნებს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასრულების შედეგად მისაღები კვალიფიკაცია მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და გადმოცემული; სწორად უნდა მიეთითოს უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამა არის უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული გეგმის მთავარი ნაწილი. ის სტუდენტებს აძლევს, როგორც აკადემიურ ცოდნას ასევე უნარებს მათ შორის ტრანსფერულ უნარებს, ამ უკანასკნელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ პიროვნულ განვითარებაზე და მათ მომავალ კარიერაში იყოს გამოყენებული.

2.3. საგანმანათლებლო პროგრამა:

- შემუშავებულია დაწესებულების სტრატეგიასთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამის ყოვლისმომცველი მიზნებით და აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
- შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; იყენებს გარე ექსპერტიზასა და სხვა რელევანტურ წყაროებს;
- აკმაყოფილებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს;
- შემუშავებულია ისე, რომ იძლევა სტუდენტების დაუბრკოლებელი პროგრესიის საშუალებას;
- განსაზღვრავს სტუდენტების მოსალოდნელ სასწავლო დატვირთვას მაგ., ECTS-ის კრედიტებით;
- საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს კარგად სტრუქტურებული პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებს (პრაქტიკული გამოცდილება მოიცავს ტრენინგს, სტაჟირებას და პროგრამით განსაზღვრულ სხვა პერიოდს, რომელსაც სტუდენტი ატარებს ინსტიტუტის გარეთ და რომელიც მას აძლევს გამოცდილებას თავის სწავლასთან დაკავშირებულ სფეროში;
- ექვემდებარება ფორმალური დამტკიცების შიდა ინსტიტუციურ პროცესს.

2.4. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება:

3.1. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი გზით მიწოდება, რაც წაახალისებს სტუდენტებს შეასრულონ აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. ამასთან, სტუდენტების შეფასებამ უნდა ასახოს ეს მიდგომა.

3.2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის მოტივაციის და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირებაში. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, ასევე შედეგების შეფასება განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს.

3.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების განხორციელება:

 პატივსცემს და ზრუნავს სტუდენტების ინდივიდუალურ მრავალფეროვნებასა და მათ საჭიროებებზე და იძლევა მოქნილი სასწავლო გზების არსებობის საშუალებას;

 საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს და იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებულ ფორმებს;

 მოქნილად იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მეთოდებს;

 რეგულარულად აფასებს და შესაბამისობაში მოჰყავს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ფორმები და პედაგოგიური მეთოდები;

 ავითარებს სტუდენტებში ავტონომიურობის გრძნობას და ამავდროულად, უზრუნველყოფს ადეკვატურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური პერსონალის მხრიდან;

 ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის ურთიერთობაში;

 ქმნის შესაბამის პროცედურებს სტუდენტური საჩივრების განსახილველად.

3.4. სტუდენტების პროგრესიისა და მათი მომავალი კარიერისათვის შეფასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეფასებასთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ითვალისწინებს შემდეგს:

 შემფასებელისთვის კარგადაა ცნობილი არსებული ტესტირებისა და გამოცდების მეთოდები და იგი იღებს მხარდაჭერას ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის;

 შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, ისევე როგორც ნიშნის კრიტერიუმები გამოქვეყნებულია წინასწარ;

 შეფასება საშუალებას აძლევს სტუდენტს მოახდინოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონის დემონსტრირება. სტუდენტი იღებს უკუკავშირს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებითაც იძლევა რჩევებს;

 სადაც შესაძლებელია, შეფასება ხორციელება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;

 შეფასების რეგულაციები ითვალისწინებს შემამსუბუქებელ გარემოებებს;

 შეფასება თანამიმდევრულია და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

 სტუდენტებისთვის შემუშავებულია აპელაციის ფორმალური პროცედურა.

3.5. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა და კითხვარების საფუძელზე:

 დიდაქტიკური კონცეფცია;

 სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;

 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;

 სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი;

 სტუდენტის მხარდამჭერი ღონისძიებები;

 გამოცდების ჩატარების წესი;

 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

4. აკადემიური/მოწვეული პერსონალი:

4.1. უნივერსიტეტი დარწმუნებული უნდა იყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის კომპეტენციაში. მან უნდა გამოიყენოს თანამშრომლების სამსახურში მიღებისა და მათი შემდგომი განვითარების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესები.

4.2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის როლი არსებითია მაღალი ხარისხის სტუდენტური გამოცდილების მიღებასა და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენაში. სტუდენტების მრავალფეროვნება და სწავლის შედეგებზე მკაცრი ფოკუსირება მოითხოვს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლასა და სწავლებას და ამდენად, აკადემიური/მოწვეული პერსონალის როლის ცვლილებასაც.

4.3. უნივერსიტეტს პირველადი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი თანამშრომლების ხარისხსა და მათთვის ხელშემწყობი გარემოსშექმნაზე, რაც მათ საქმიანობის ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემთ. ასეთი გარემო:

 ადგენს და მისდევს თანამშრომლების მიღების მკაფიო, გამჭვირვალე და სამართლიან პროცესებს და ასევე საქმიანობის პირობებს, რომელიც აღიარებს სწავლების მნიშვნელობას;

 მხარს უჭერს და ქმნის შესაძლებლობებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;

 ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას, რათა გააძლიეროს კავშირი განათლებასა და კვლევას შორის;

 ხელს უწყობს ინოვაციას სწავლების მეთოდებში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4.4. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა და კითხვარების საფუძელზე:

 შესაბამისი პერსონალი არჩევის/დანიშვნის წეს(ებ)ი;

 უნივერსიტეტის შინაგანაწესი.

5. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა:

5.1. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და იოლად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობა.

5.2. საგანმანათლებლო გამოცდილებისა და სწავლაში მხარდაჭერის უზრუნველოფის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტებს რესურსების ფართო სპექტრი შესთავაზოს. ეს სპექტრი ვარირებს მატერიალური რესურსებიდან (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა) ადამიანურ მხარდაჭერამდე, კონსულტანტებისა და სხვა მრჩეველთა სახით. მხარდამჭერი სერვისების როლი განსაკუთრებით მნიშვენელოვანია სტუდენტების მობილობის ხელშეწყობისთვის, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

5.3. სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერის დაგეგმვის, განაწილებისა და უზრუნველყოფისას უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ტიპის (არასრული სასწავლო დატვირთვის, დასაქმებული და საერთაშორისო სტუდენტები, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები) სტუდენტების საჭიროებები, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლაზე გადასვლა და სწავლისა და სწავლების მოქნილი ფორმები.

5.4. მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ჩართული უნდა იყოს ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლები. შესაბამისად, ისინი კვალიფიციურნი უნდა იყვნენ და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განივითარონ საკუთარი კომპეტენციები.

5.5. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა და კითხვარების საფუძელზე:

 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წეს(ებ)ი;

 სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები;

 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;

 აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტურორიალის) განხორციელების წესი.

6. ინფორმაციის მენეჯმენტი:

6.1. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და გამოყენება თავისი პროგრამებისა და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისთვის.

6.2. სანდო მონაცემი არსებითად მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს კარგად და რას სჭირდება ყურადღების მიქცევა. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური პროცესები მონაცემებით ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას ამარაგებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და ფაკულტეტების პერსონალი. კერძოდ ეს მონაცემებია:

 სტუდენტების პროფილები;

 სტუდენტების პროგრესია, მიღწევებისა და გარიცხვის მაჩვენებლები;

 სტუდენტების კმაყოფილება თავიანთ პროგრამებთან მიმართებაში;

 ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების და სტუდენტთა მხარდაჭერის არსებული სერვისები;

 კურსდამთავრებულთა კარიერული გზები.

6.3. შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა გზის გამოყენება. მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჩართულობა, როგორც ინფორმაციის მიწოდებასა და ანალიზში, ასევე შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში.

6.4. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების შესახებ ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა და კითხვარების საფუძელზე.

7. საჯარო ინფორმაცია:

7.1. უნივერსიტეტმა უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის, მათ შორის პროგრამების შესახებ, რომელიც მკაფიო, ზუსტი, ობიექტური, განახლებული და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

7.2. ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინტერესოა არსებული და მომავალი სტუდენტებისათვის, ისევე, როგორც კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის. ამიტომ, დაწესებულება ავრცელებს ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის პროგრამებისა და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ; ამ პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურების და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ასევე ინფორმაციას დასაქმების შესახებ.

7.3. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდით პერიოდული მონიტორინგით და დაინტერესებული სუბიექტების ინტერვიუების საშუალებით.

8. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება:

8.1. უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს თავისი პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდა გამოიწვიოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.

8.2. საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის და შეფასების მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.

8.3. პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. განახლებული პროგრამა ექვემდებარება გამოქვეყნებას.

8.4. ამ პუნქტში მოცემული მოთხოვნების და სახელმძღვანელო პრინციპების შეფასება ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნათა და კითხვარების საფუძელზე:

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი.

მუხლი 3. ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმი

1. უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა გაიაროს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები.

2. ხარისხის გარე უზრუნველყოფას, თავისი მრავალფეროვანი ფორმებით, შეუძლია გადაამოწმოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, იმოქმედოს, როგორც გაუმჯობესების კატალიზატორმა და ახალი პერსპექტივები შესთავაზოს უნივერსიტეტს. ის უნივერსიტეტსა და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შესახებ.

3. უნივერსიტეტი მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფის პროცედურებში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს.

4. ხარისხის უზრუნველყოფა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება გარედან უკუკავშირის, ანგარიშის მიღების ან უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით.

5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის ბოლო გარე უზრუნველყოფის პროცესის შედეგად მიღწეული პროგრესის გათვალისწინებას მომდევნო გარე უზრუნველყოფის პროცესისათვის მზადებაში.

6. უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით უნივერსიტეტი განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ მიღებულ შემდეგ სტანდარტებთან:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს;

ე) სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;

ვ) კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას;

ზ) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს.

7. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის მთავარი ამოცანებია.

8. უნივერსიტეტში განვითარების და განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმს - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას SWOT-ანალიზის მეშვეობით.